



## მეორე სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი

თარიღი: 22 იანვარი, 2016 წელი

დრო: 16:00 – 17:00 საათი

შეხვედრის ადგილი: ევროპის სახლი

### შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. მანანა წულაია - ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია "ელკანა", ჯგუფის კოორდინატორი
2. კახა გოგოლაშვილი - საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი, ჯგუფის კოორდინატორი
3. ვახტანგ ზარქუა - ენერგოეფექტურობის ფონდი
4. ლელა ბერძული - ევროპის ფონდი
5. დავით ცისკარიძე - საერთაშორისო ბიზნესის და ეკონომიკური განვითარების ცენტრი
6. ნანა ფიროსმანაშვილი - ფერმერთა უფლებების დაცვის ასოციაცია
7. მანანა დევიძე - ფონდი „კავკასიის ეკოლოგია“
8. ეკა გეგეშიძე - ჯუნიორ ეჩივმენტი საქართველო
9. ნათელა გიუნაშვილი - ასოციაცია - საზოგადოება განვითარებისთვის
10. წოვინარ ნაზაროვა - ადამიანის ჰარმონიული განვითარების ხელშემწყობი საზოგადოება
11. ირაკლი ქასრაშვილი - საერთაშორისო არაკომერციული ორგანიზაციის "მერსი ქორფს" - ის წარმომადგენლობა საქართველოში
12. გიორგი გოგუაძე - საქართველოს რეფორმების ასოციაცია (GRASS)
13. თორნიკე ზურაბაშვილი - საქართველოს რეფორმების ასოციაცია (GRASS)

მოწვეული სტუმარი: ლაშა ტულუში - საქართველოს ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარე, ლიბერალური აკადემია თბილისი, დირექტორი

## განსახილველი საკითხები:

1. საქართველოს ეროვნული პლატფორმის 2016 წლის საქმიანობების დაგეგმვა
2. მეორე სამუშაო ჯგუფის მიერ პრიორიტეტების შემუშავება და სამოქმედო გეგმის განხილვა
3. პროექტის - „ენერგოეფექტური ტექნოლოგიები თემთა მდგრადი განვითარებისათვის“ პრეზენტაცია.
4. წინადადებები პარტნიორული ურთიერთობების გასააქტიურებლად
5. მიმდინარე და სხვა საკითხები

სამუშაო ჯგუფის შეხვედრა გახსნა ჯგუფის კოორდინატორმა და დამსწრეებს გააცნო შეხვედრის დღის წესრიგი.

პირველ საკითხად ჯგუფმა განიხილა მეორე სამუშაო ჯგუფის პრიორიტეტები და სამოქმედო გეგმა.

ჯგუფის თანაკოორდინატორმა ქალბატონმა მანანა წულაიამ, წარადგინა ჯგუფის 2016 წლის სამოქმედო გეგმის სამუშაო ვერსიის პრეზენტაცია, სადაც სამუშაო მიმართულებები ძირითადად სამი მიმართულებით ჩამოყალიბდა:

1. **ჯგუფის ფარგლებში ქვეჯგუფების/ თემატური სამუშაო ჯგუფების ჩამოყალიბება**
2. **პლატფორმებთან/ჯგუფებთან/კოალიციებთან თანამშრომლობა**
3. **პრიორიტეტული საკითხების ადვოკატირება/პოლიტიკის დოკუმენტების მომზადება**

ჯგუფის პრიორიტეტებიდან გამომდინარე, გაჟღერდა ინიციატივა შეიქმნას ქვეჯგუფი, რომელიც იმუშავებს კლიმატის ცვლილების საკითხებზე, თუმცა აღნიშნულმა ინიციატივამ აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია, რამდენადაც მესამე სამუშაო ჯგუფიც მუშაობს ზემოთ აღნიშნულ საკითხებზე. გამოითქვა მოსაზრება შეიქმნას „მდგრადი განვითარების“ ქვეჯგუფი, მესამე ჯგუფთან ერთად, თუმცა არც ამ საკითხზე მოხდა კონსენსუსის მიღწევა და გამოითქვა მოსაზრება, რომ სხვა ჯგუფის წევრებსაც ჰქონდეთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ ქვეჯგუფის მუშაობაში.

დისკუსია გამოიწვია ასევე ქვეჯგუფის დასახელებამაც, შეთავაზებულ იქნა შემდეგი ფორმულირებაც - „მდგრადი განვითარება/მწვანე ეკონომიკა“. რადგანაც, ჯგუფი უმრავლესობით არ იყო წარმოდგენილი შეხვედრაზე, გადაწყდა რომ ელექტრონული კომუნიკაციის გზით მოხდეს სამოქმედო გეგმისა და ქვეჯგუფის ჩამოყალიბების იდეის შეჯერება.

შეხვედრის შემდეგ ეტაპზე, საქართველოს ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარემ მოკლედ მიმოიხილა საქართველოს ეროვნული პლატფორმის 2016 წლის სამუშაო პრიორიტეტები და აღნიშნა, რომ პლატფორმას მთელი წლის განმავლობაში ექნება საშუალება აქტიურად გამართოს სამუშაო ჯგუფების შეხვედრები, შეიმუშაოს განცხადებები, დაგეგმოს სხვადასხვა აქტივობები და რაც მთავარია, გამოიყენოს *საქართველოს მთავრობასა და „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს*

ეროვნულ პლატფორმას შორის გაფორმებული თანამშრომლობის შესახებ მემორანდუმით გათვალისწინებული შესაძლებლობები და იმუშაოს პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავებაზე, რომლებსაც საქართველოს მთავრობა, მემორანდუმით აღებული ვალდებულებების თანახმად, განიხილავს. მათ შორის მონაწილეობა მიიღოს ყოველწლიურ კოფერენციაში, რომელსაც ასევე დაესწრებიან ხელისუფლების წარმომადგენლები, გამართოს სექტორალური შეხვედრები, რაც გულისხმობს კონკრეტულ სახელმწიფო უწყებებთან დისკუსიისა თუ მრგვალი მაგიდების ფორმატში საკითხების განხილვას. მან ასევე გააცნო რეგიონალური წარმომადგენლობების დაარსების ინიციატივა, რაზეც შეთანხმება ამ ეტაპზე მიღწეულია და განსაზღვრულია მათი ადგილმდებარეობა, თუმცა კონკრეტული ორგანიზაციების შერჩევაზე მოლაპარაკებები ჯერ კიდევ მიმდინარეობს.

პლატფორმის თავმჯდომარემ ასევე ისაუბრა, მემორანდუმის სამოქმედო გეგმის შემუშავების საკითხის შესახებ, რომელიც კონრად ადენაურის ფონდის ტექნიკური მხარდაჭერით განხორციელდება, რაც გულისხმობს მათ მხრიდან ექსპერტის ჩართულობას და ამასთანავე შესთავაზა პროფკავშირების წარმომადგენლებს მონაწილეობა მიიღონ გეგმის შემუშავებაში და წარადგინონ საკუთარი ხედვები.

დროის სიმცირის გამო პროექტის - „ენერგოეფექტური ტექნოლოგიები თემთა მდგრადი განვითარებისათვის“ პრეზენტაციის ჩატარება სხვა დროისთვის გადაიდო.

საათნახევრიანი მსჯელობის შემდეგ ჯგუფის შეხვედრა დასრულდა.

შეხვედრის მდივანი: სალომე სიჭინავა.